პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 103 (6414)

3 ივნისი. კვირა. 1979 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს სპარტაკიადის ფინალი

საბჭოთა დროშა – პოლუსზე

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" მაღალი განედის პოლარული სამეცნიერო-სპორტული ექსპედიციის მოთხილამურეთა მიერ 1 ივნისს ჩრდილოეთ პოლუსის წარმატებით დაპყრობის აღსანიშნავად, პლანეტის უკიდურეს ჩრდილოეთ წერტილში აღმართული იქნა სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა. გაიმართა საზეიმო მიტინგი. პრესის წარმომადგენლებისა და სპორტული კომისრების თანდასწრებით ხელმოწერილი იქნა აქტი სათხილამურო გადასვლის დამთავრებისა და „დედამიწის კენწეროზე" მიღწევის შესახებ.

ფლაგშტოკზე მიამაგრეს, აგრეთვე, ი. პაპანინის ექსპედიციის დროშა, რუსი პოლარული მკვლევარების გ. ტიტოვის, ვ. რუსანოვის, ე. ტოლის პორტრეტები.

პოლუსზე დატოვეს ჰერმეტულად დახურული მოტივტივე კონტეინერი, რომელშიც არის საბუთების ასლები პოლუსის დაპყრობის შესახებ, აგრეთვე, კომკავშირის გმირული მატიანის სიმბოლოები: მოსკოვის კრემლის კედლიდან აღებული მუჭა მიწა, „ვერცხლის ყავარჯენი" ბაიკალ-ამურის მაგისტრალიდან, ყამირზე მოწეული ხორბლის თავთავის კონა, დამკვრელური კომკავშირული რაზმების მშენებელთა ქაფჩა, მოსკოვის ოლიმპიადა-80-ის თილისმა დათუნია, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" ვიმპელები.

მიღებული იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისადმი გასაგზავნი დეპეშის ტექსტი.

ექსპედიცია სრული შემადგენლობით რამდენიმე საათს დარჩა პოლუსზე. ამ პერიოდში სამარშრუტო და საბაზო ჯგუფების რადისტებმა ჩაატარეს საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ყველა კონტინენტის რადიომოყვარულებთან კავშირის სეანსები საერთაშორისო პროგრამა „პოლუს-79"-ის პროგრამით.

შემდეგ კოლიმო-ინდიგორსკის ავიასაწარმოს მფრინავებმა უმაღლითო სათხილამურო გადასვლის მონაწილენი გადაიყვანეს მოძრავ სადგურ „ჩრდილოეთ პოლუს-24"-ში, იქიდან — დაბა ჩერსკიში.

დ. გუბიაკინი.

(საქდესის სპეც. კორ).

სადგური „ჩრდილოეთი პოლუსი-24".

(ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე).

● ველოსპორტი

ახალი ლიდერი

„ბრიტანეთის ტურის" — მრავალდღიანი ველორბოლის მეხუთე ეტაპის მოგებით შეჯიბრების ლიდერობა ხელთ იგდო კურსკელმა ვ. ჩაპლიგინმა. აქამდე ლიდერის ყვითელი მაისურით გამოდიოდა როსტოველი ი. კაშირინი. მან ამჯერად მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ჩაპლიგინთან იგი 1 წუთსა და 32 წამს აგებს.

საბჭოთა ნაკრები დამაჯერებლად ლიდერობს. იგი მეორე ადგილზე მყოფ ჩეხოსლოვაკიელებს 3 წუთზე მეტით ასწრებს.

ტანვარჯიში...

ასაკს იქლებს

მართლაც უკვე ჩვეულ ამბად იქცა ის ფაქტი, რომ დღევანდელი სპორტი საგრძნობლად გაახალგაზრდავდა და ყველაზე დიდი რანგის ასპარეზობებშიც კი სულ უფრო ხშირად ვხედავთ პატარა გოგო-ბიჭებს. მაგრამ ამ დღეებში საქართველოს VII სპარტაკიადის პროგრამით მიმდინარე ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობამ ამ მხრივ მართლაც ყველა რეკორდი მოხსნა: გ. დიმიტროვის ქარხნის სპორტის სასახლის სარბიელზე მონაწილეთა შორის ბარე ნახევარი უმცროსი სასკოლო ასაკისაა და უნებურად შეკრებილთა სიმპათიას იმსახურებს. აი, ნორჩები — ნატო ბერძენიშვილი, ლადო გოგოლაძე, გია მარმარაშვილი, ისინი, რომ იტყვიან, ტოლს არ უდებენ უფროსებს და საკმაოდ რთულ ილეთებს ასრულებენ. მაყურებელთა მხურვალე აპლოდისმენტები სულ უფრო ხშირად გაისმის მომავალი ოსტატის ვარჯიშის დროს.

განსაკუთრებულ გამოცოცხლებას დარბაზში მაინც ცეროდენა სოხუმელი ტანმოვარჯიშეების ეკატერინე ბაყენოვასა და კარინა. მუსოიანის გამოსვლები იწვევს. ორივე სოხუმის მე-2 საშუალო სკოლაში სწავლობს: 9 წლის ეკატერინე მესამე კლასშია, 7 წლის კარინა კი — პირველში.

— ეს ნამდვილი საოცრებაა, — გვეუბნება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **რუსუდან სიხარულიძე**, რომელიც ამ შეჯიბრებაზე მსაჯის როლში მოგვევლინა — ორივე ძალზე ტექნიკურია, ემოციური, მეტყველი, საკუთარი ხელწერაც აქვთ.

დავუმატებთ, რომ სახელოვანმა ტანმოვარჯიშემ კონკურსგარეშე მონაწილე ნორჩებს თავისუფალი ვარჯიშის შესრულებისათვის სიტყვიერთან ერთად საკმაოდ მაღალი „წერილობითი" შეფასებაც მისცა: 9 ქულა კარინას, 9,4 — ეკატერინეს.

— კმაყოფილი ხარ ამ შეჯიბრებით? — „დავიწყეთ ინტერვიუ" კ. მუსოიანთან.

— დიახ!..

— შენი გამოსვლით?

— ჰო!... — „ინტერვიუ" დამთავრებულ იქნა.

— კეთილი, ზრდილობიანი გოგონებია, — შემოგვეშველა საუბარში ნორჩების მწვრთნელი ვალენტინა მიხეევა, რომელიც ნამდვილი დედობრივი ზრუნვით სულ თავს დასტრიალებს გოგონებს — ტანვარჯიშზე წელიწადნახევარია დადიან და უკვე ბევრ რთულ ილეთს ასრულებენ — ორმაგ პირუეტს თავისუფალ ვარჯიშში, დიდ ბრუნებს და წინ ბრუნს სალტოთი ორძელზე, სალტოს ბრუნში („ცუკახარა"), ბჯენით ხტომებში და სხვა. მაგრამ, ცხადია, მათ კიდევ ბევრი ვარჯიში სჭირდებათ დაოსტატებისათვის. მალე ორივე ერევანში გაემგზავრება, სადაც 7-12 ივნისს გაიმართება ნორჩების საკავშირო საკონკურსო შეჯიბრება. ალბათ, თავს იქაც გამოიჩენენ...

...უკვე ვიუწყებოდით ქალთა მიერ ნებისმიერი პროგრამის შესრულების შესახებ, დღეს კი მკითხველებს ვაჟთა მეორე დღის ასპარეზობაზე ვუამბობთ.

როგორც ცნობილია, სავალდებულო პროგრამის შემდეგ ოსტატთა შორის შეჯიბრების ლიდერი მალხაზ თათარაძე თავის მთავარ მეტოქეს და უახლოეს მდევარს პაატა შამუგიას 0,5 ქულით უსწრებდა. ნებისმიერ პროგრამაში გამოცდილმა შამუგიამ, რომელიც ჯერ შორსაა საუკეთესო სპორტული ფორმისაგან, მხოლოდ ღერძზე ვარჯიშში მოუგო უმცროს კოლეგას — 8,8 ქულა 8,7 წინააღმდეგ. თავისუფალ ვარჯიშში ორივემ 9,0 ქულა დაიმსახურა, დანარჩენ სახეობებში კი თათარაძის უპირატესობა აშკარა იყო და მან მრავალჭიდში 108,55 ქულა მოაგროვა, რაც სპორტის ოსტატის ნორმატივს აღემატება. პ. შამუგიას შედეგია 106,0 ქულა, მესამე პრიზიორმა გ. ბახიამ 105,25 ქულას მოუყარა თავი. მომდევნო ადგილებზე არიან გ. რაჭველიშვილი (103,95), კ. სულთანიშვილი (100,6) და ჯ. ალთუნაშვილი (99,55). ოსტატობის კანდიდატებს შორის საუკეთესო იყო გ. მარმარაშვილი — 80,7 ქულა.

გუნდურ შეჯიბრებაში (ვაჟებში მხოლოდ ორი კოლექტივი გამოდის) თბილისელები (525,676 ქულა) უგებენ ქუთაისელებს (311,673).

გუშინ საღამოს დამთავრდა ფინალური ტურნირი მრავალჭიდში ქალთა და ვაჟთა შორის, დღეს გაიმართება დასკვნითი ასპარეზობა — ფინალები ცალკეულ სახეობებში და შეჯიბრების საზეიმო დახურვა.

ო. ნოზაძე.

მასპინძელთა დიდი ინტერესი

სურათზე: ფოთელი ვ. რიაბიკინისა (60 კგ) და ჭიათურელი დ. ხომასურიძის შეხვედრის მომენტი.

გ. გერსამიას ფოტო. (საქინფორმი).

ის, რომ მოკრივეთა ფინალურ ტურნირს ქუთაისმა უმასპინძლა, შემთხვევითი ამბავი არ არის — აქაურ მოკრივეთა წარმატებები საყოველთაოდ ცნობილია. თუმცა, ერთ პერიოდში ტყავის ხელთათმნის ქუთაისელმა ოსტატებმა მნიშვნელოვნად დათმეს პოზიციები, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, მდგომარეობა ისევ სასიკეთოდ იცვლება — გამოჩნდნენ იმედის მომცემი, პერსპექტიული ახალგაზრდები.

ქუთაისის კრივის დარბაზი ასპარეზობის დღეებში სავსე იყო მაყურებლებით. საქართველოს სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტულს ერთმანეთს ეცილებოდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის, რუსთავისა და გორის მოკრივეები. ყველა ინტერესით ელოდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, სსრ კავშირის 1978 წლის ჩემპიონის ა. ხიზანიშვილისა და ფოთელი დ. ყურაშვილის შეხვედრას. ეს ორთაბრძოლა მართლაც მიმზიდველი გამოდგა. ხიზანიშვილმა თავიდანვე აქტიურად შეუტია და ძლიერი დარტყმებით ცდილობდა მოწინააღმდეგის დაჯაბნას, მაგრამ ყურაშვილი არ დაიბნა — ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია გამოცდილ მეტოქეს, თუმცა დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩა.

ლამაზი ბრძოლა გაიმართა თბილისელ ვ. პროსკუდინსა და სოხუმელ თ. სამუშიას შორის. პირველ რაუნდში პროსკუდინმა ძლიერი დარტყმებით ერთგვარ ფსიქოლოგიურ უპირატესობას მიაღწია, მაგრამ სოხუმელმა თავისებური დაცვის ტაქტიკა გამოიყენა, მეორე რაუნდში კი მძიმე ნოკდაუნში გაგზავნა მეტოქე და ბრძოლაც მოიგო.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ცხინვალის წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატმა ა. კოჩეტკოვმა.

უკომპრომისო გამოდგა ქუთაისელი სპორტის ოსტატობის კანდიდატის გ. კუხიანიძის შეხვედრა სპორტის ოსტატ ს. სარქისიანთან (რუსთავი). კუხიანიძემ კონტრშეტევაზე ააგო ბრძოლა, მაგრამ გამოცდილმა სარქისიანმა ტაქტიკურად სწორად წარმართა შეხვედრა და საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩა.

ფოთელი ვ. კლიმანოვსკისა და თბილისელი გ. ასლანოვის ფინალური ორთაბრძოლა მეტად დაძაბული გამოდგა და ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. ა. ხიზანიშვილმა ეფექტურად ჩაატარა ბოლო შეხვედრები. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი ფარ-ხმალი დააყრევინა ქუთაისელ გ. ასოევს და ჩემპიონი გახდა. წინასწარი შეხვედრები კარგად ჩაატარა მასპინძელთა გუნდის წევრმა ა. ყურაშვილმა. მან ფინალში ცხინვალელი ნ. ძაგოევი დაამარცხა და I ადგილი დაიკავა.

უნდა ითქვას, რომ საინტერესო, დაძაბული ორთაბრძოლების მხარდამხარ რამდენიმე უფერული შეხვედრაც ვიხილეთ. ბევრი მოკრივე ქუთაისში მოუმზადებელი ჩამოვიდა და პირველ რაუნდშივე, ან აშკარა უპირატესობით მარცხდებოდა.

გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **თბილისი, სამხრეთ ოსეთი, ქუთაისი.**

წონითი კატეგორიების მიხედვით საქართველოს VII სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: **ი. გაიბალიევი** (რუსთავი), **გ. ასლანოვი, ა. ხიზანიშვილი, ს. პეტროსიანი** (სამივე — თბილისი), **ი. კოჩეტკოვი** (სამხრეთ ოსეთი), **რ. ჩირიკბაია** (აფხაზეთი), **ი. გოგოლაძე** (ჭიათურა), **ა. ყურაშვილი** (ქუთაისი), **მ. თაქთაქიშვილი** (თბილისი), **თ. სამუშია** (აფხაზეთი), **ჯ. კოკოევი** (სამხრეთ ოსეთი).

ო. რაზმაძე.

ავტომრავალჭიდში

საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ბაზაზე რუსთავში გაიმართა VII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება საავტომობილო მრავალჭიდში, რომლის პროგრამაში იყო „ჟიგული-21011" და სატვირთო მანქანა „გაზ-52"-ით ასპარეზობა, რაც ითვალისწინებდა საწვავის ეკონომიით ტრასისა და ფიგურების უმცირეს დროში გავლას, ხელყუმბარის ტყორცნას, მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლას. მონაწილენი სიძლიერის მიხედვით 4 ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილნი და წარმომადგენლობითობაც შესაბამისი ჰქონდათ.

პირველ ქვეჯგუფში გაიმარჯვა **თბილისის** ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სპორტის ოსტატები ვ. გოგაძე და რ. მაისურაძე, პირველთანრიგოსნები ო. **ხოსიტაშვილი** და ა. კუბლაშვილი, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ **ქუთაისისა** და **აფხაზეთის** კოლექტივები.

მეორე ქვეჯგუფში ყველას **სამტრედიის** ნაკრებმა (ვ. ნიკურაძე და გ. სულაბერიძე) აჯობა, II ადგილი ერგო რუსთავის გუნდს, ხოლო III — გორელთა კოლექტივს.

მესამე ქვეჯგუფში თერჯოლის (ბ. და დ. რობაქიძეები) დუეტმა მოიგო პირველობა, ხოლო მეოთხე ქვეჯგუფში გუნდი გამოიყვანა მხოლოდ ლენტეხმა.

პირად პირველობაში „ჟიგულების" კლასში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **ვ. ნიკურაძე** (სამტრედია), შარშანდელი ჩემპიონი **ვ. გოგაძე** (თბილისი), **ა. ნაჭყებია** (სოხუმი).

სატვირთო მანქანებით შეჯიბრებაში წარმატება წილად ხვდა შარშანდელ ჩემპიონს **რ. მაისურაძეს** (თბილისი). მისი თანაგუნდელი ა. კუბლაშვილი II ადგილს დასჯერდა. ქუთაისელმა ვ. მიქელაძემ III ადგილი დაიკავა.

ო. კიკნაველიძე,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ქვეყნის მთავარი სტადიონი მოლოდინშია

„**მეორედ** იბადება“ ამ დღეებში საბჭოთა ქვეყნის მთავარი სტადიონი — ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის წინ, 1956 წელს გაიხსნა. მის სპორტულ სარბიელზე იმართებოდა უდიდესი რანგის მრავალი შეჯიბრება. ყველა წინა სპარტაკიადის უცვლელი „მონაწილის“, ლუჟნიკის სტადიონის მზადება სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობისათვის დასასრულს უახლოვდება. აქ გაიმართება გრანდიოზული სპორტული ფორუმის გახსნისა და დახურვის ცერემონიალი; გათამაშდება სპარტაკიადის ჯილდოები ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ცურვაში, წყალბურთში, სპორტულ ტანვარჯიშში, ძიუდოში...

ჯერჯერობით სტადიონი „სამუშაო სამოსელშია“. მთავრდება მისი მთავარი ნაგებობების (რომლებიც, როგორც ცნობილია, ოლიმპიური შეჯიბრებების ცენტრი იქნება) — დიდი და მცირე სპორტული სარბიელის, საცურაო აუზის, სპორტის სასახლის, ახალი უნივერსალური სპორტდარბაზ „დრუჟბას“ მშენებლობა და რეკონსტრუქცია. მიმდინარეობს ტერიტორიის კეთილმოწყობა.

„თუმცა ჯერ უამრავი სამუშაოა ჩასატარებელი და ჩვენი „სპორტის ქალაქი“ ხარაჩოებშია, მაგრამ გვჯერა, რომ მისი სპორტული ნაგებობები მზად იქნება სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის საბჭოთა და უცხოელ მონაწილეთა მისაღებად, — თქვა სტადიონის დირექტორმა ლ. ნიკიტინმა — ეს არა მარტო მოსკოველების, არამედ ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან — უკრაინიდან, ბელორუსიიდან, საქართველოდან, ყაზახეთიდან, ლატვიიდან და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ მშენებელთა მოვალეობა და ღირსების საქმეა.

დიდ დახმარებას გვიწევენ დედაქალაქის პარტიული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციები. კარგად მუშაობენ რაიონის კომკავშირულ-ახალგაზრდული დამკვრელური რაზმები. ფართოდ გაიშალა სპეციალისტური შეჯიბრება მშენებელთა შორის“.

...დიდი სპორტული სარბიელი. ყურადღებას იპყრობს ტრიბუნებზე აღმართული 86-მეტრიანი ანძები, რომლებიც ჩელიაბინსკელებმა დაამონტაჟეს. ახლა მოსკოველი მესიმაღლე-ელექტრიკოსები ამ ანძებზე აყენებენ მძლავრ პროჟექტორებს, რომლებიც საღამოს მატჩებზე ფეხბურთის მინდვრის ყოველ კვადრატულ მეტრს დღესავით გაანათებენ.

უნგრეთის ფირმა „ელექტროიმპექსის“ სპეციალისტები ამონტაჟებენ თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილ ახალ საინფორმაციო ტაბლოებს (თითოეული 225 კვ. მ. ფართით).

100-ათასიანი სარბიელის ირგვლივ აღიმართა ახალი ტრიბუნების რიგები. განახლდა და სახე იცვალა ტრიბუნებს ქვეშ მდებარე ოთახებმა. დასავლეთის ტრიბუნის ქვეშ მეორე და მესამე სართულებზე მოეწყო პრეს-ცენტრის დარბაზები. უახლოეს დღეებში დაიწყება სატელეფონო და სატელექსო კავშირის აპარატების დადგმა.

უფრო ფართო და მოსახერხებელი გახდება რადიო- და ტელეკომენტატორთა ჯიხურები, განახლდება პრესის ლოჟა. საცურაო აუზის შესასვლელთან ასეთი წარწერაა: „აუზი მწყობრში ჩადგება 1979 წლის 15 ივნისს“. აქ გაიმართება სასპარტაკიადო შეჯიბრებები ცურვასა და წყალბურთში.

— აუზის მშენებლებმა კარგად იშრომეს, — თქვა სპარტაკიადაზე წყალბურთელთა ტურნირის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ვ. რამმაჯანმა, — მოასპარეზენი კმაყოფილი დარჩებიან. ყველაფერი იქნება მსაჯთა კოლეგიის ნორმალური მუშაობისათვის. სპარტაკიადის მატჩებს მოემსახურება 10 არბიტრი ესპანეთიდან, რუმინეთიდან, ბელგიიდან, ჰოლანდიიდან, საფრანგეთიდან, აშშ-დან და კუბიდან, ხოლო სპარტაკიადის მედლებს საბჭოთა წყალბურთელებთან ერთად გაითამაშებენ იუგოსლავიის, ავსტრალიის, მექსიკისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები. სპორტსმენებს შეეძლებათ მოთელვა ჩაატარონ ძირითადი სარბიელის მეზობლად მდებარე სპეციალურ სავარჯიშო აუზში, რაც მინიმუმამდე შეამცირებს მატჩებს შორის შესვენებას; ახალი ტაბლოს საშუალებით მაყურებლები ამომწურავ ინფორმაციას მიიღებენ შეხვედრის მიმდინარეობაზე. ლუჟნიკის აუზს ახლა ტელეკომენტატორთა 12 ჯიხური აქვს.

ახალ უნივერსალურ სპორტდარბაზ „დრუჟბაში“ — ლუჟნიკის ყველაზე შთამბეჭდავ ახალმშენებლობაში — ფასადის მოპირკეთებისთანავე აწყობენ ოთახებს.

აქ მუშაობის ტემპი განსაკუთრებით მაღალია. დარბაზის მშენებლობის დამთავრება ოლიმპიადის დაწყების წინ იყო ნავარაუდევი, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს უფრო ადრე მოხდება.

მიუხედავად იმისა, რომ სტადიონის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს ბულდოზერები, ექსკავატორები, ამწეები და სატვირთო ავტომანქანები „დაეპატრონენ“, „სპორტის ქალაქში“ სპორტული ცხოვრება კვლავინდებურად ჩქეფს.

...სულ მალე განახლებული, გაახალგაზრდავებული ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი სპორტსმენებს და გულშემატკივრებს ფართოდ გაუღებს კარებს და მიესალმება: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სპარტაკიადაზე!“ (საკდესი).

რა გვიჩვენა სპარტაკიადამ?

გვესაუბრება აჭარის VII საზაფხულო სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ო. ასათიანი

□

აჭარის VII საზაფხულო სპარტაკიადამ სტარტი აიღო 1977 წელს, როდესაც გაიმართა შეჯიბრებები ფიზკულტურულ კოლექტივებში. პირველ ეტაპზე ასპარეზობები ჩატარდა 474 კოლექტივში და მათში მონაწილეობა მიიღო 50 ათასზე მეტმა ფიზკულტურელმა. ამათგან 13 ათასმა შეასრულა სპორტული თანრიგი. განსაკუთრებით მაღალ დონეზე ჩატარდა შეჯიბრებები ქალაქ ბათუმის, ხელვაჩაურის, ქობულეთის რაიონების ფიზკულტურულ კოლექტივებში. ამის შედეგად დაკომპლექტდა ნაკრები გუნდები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს აჭარის VII საზაფხულო სპარტაკიადის ფინალში.

ამ ეტაპზე ასპარეზობა გაიმართა სპორტის 19 სახეობაში. 600-ზე მეტ მონაწილეს შორის იყო 30 სპორტის ოსტატი, 300 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი. სარბიელზე მაყურებელმა იხილა სპორტის ოსტატები ი. კარგინი, ი. ბოგაჩოვი (აფროსნობა), ა. გორბუნოვი, ნ. მოროზოვი, ვ. იუხნევიჩი (ცურვა), ი. ქორიძე (ტანვარჯიში), ა. ოსანაძე (ძალოსნობა) და სხვები.

როგორც მოსალოდნელი იყო, საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა ბათუმის გუნდი, მეორეზე — ქობულეთის, მესამეზე — ხელვაჩაურის ნაკრები კოლექტივები.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის გუნდმა მოიპოვა 10 გუნდური პირველი ადგილი, ქობულეთისამ — 5. მშვილდოსნობაში წარმატებით იასპარეზეს ხელვაჩაურელმა სპორტსმენებმა, კლასიკურ ჭიდაობაში — ხულოს რაიონის წარმომადგენლებმა.

სპარტაკიადამ გვიჩვენა მონაწილეთა ოსტატობის გარკვეული ზრდა, აჭარის მაღალმთიანი რაიონების, პირველ რიგში ხულოსა და ქედის სპორტსმენთა პროგრესი. მაგალითად ქედის რაიონის ხელბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა II და III საპრიზო ადგილები დაიკავეს. კალათბურთელებმა — III.

აღსანიშნავია, რომ წინა სპარტაკიადებთან შედარებით, მაღალმთიანი რაიონებიდან მეტი სპორტსმენი ქალი მონაწილეობდა.

სპარტაკიადის მონაწილეებმა კარგი შედეგები აჩვენეს მშვილდოსნობაში, ველოსპორტში, მშდ-ს მრავალჭიდში. მათ შორის უნდა დავასახელოთ ველოსიპედისტები ჯ. ცივაძე (ქობულეთი), ი. ბოდნარევი და მ. კაშია (ბათუმი), ა. ჩელიძე (ქობულეთი), მშვილდოსნები ლ. ტოპოროვა და გ. ბასილაძე (ბათუმი), მშდ-ს მრავალჭიდელი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ლ. სანჯანოვი (ქობულეთი) და სხვები.

წარმატებებთან ერთად სპარტაკიადამ გამოავლინა ნაკლოვანებანიც. დაბალი შედეგები იქნა ნაჩვენები ისეთ სახეობებში, როგორიცაა მძლეოსნობა, წყალში ხტომა, ძალოსნობა.

სამწუხაროა, რომ უკანასკნელ ხანს აჭარაში არ მომზადებულა არც ერთი სპორტის ოსტატობის კანდიდატი მძლეოსნობაში, რომ არაფერი ვთქვათ სპორტის ოსტატებზე. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ აჭარაში ნაკლები ყურადღება ეთმობა „სპორტის დედოფალს“. ამას გარდა მძლეოსნობის განვითარებას ხელს უშლის ისიც, რომ ჩვენთან არ არის ხელოვნურსაფარიანი ბილიკები. თუმცა არსებობს ზემდგომი ორგანოების დადგენილება ბათუმის „დინამოს“ სტადიონის სარბენი ბილიკების და მძლეოსნური სექტორების რეკონსტრუქციის შესახებ, იგი არ სრულდება.

უკანასკნელ ხანს გარკვეული ყურადღება მიექცა სპორტის ისეთი სახეობის განვითარებას, როგორიცაა წყალში ხტომა. მუშაობს სპორტული სექციები სპორტსაზოგადოება „სპარტაკთან“ და აჭარის სპორტკომიტეტთან არსებულ ბავშვთა სპორტსკოლაში. სამწუხაროდ, წვრთნა ტარდება მხოლოდ ზაფხულობით, რადგან ზამთრობით წყალში მხტომელებს ვარჯიშის საშუალება არ აქვთ, რაც საგრძნობლად მოქმედებს სპორტული ოსტატობის ამაღლებაზე.

სპარტაკიადის ფინალის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა აჭარის ნაკრები, რომელიც მონაწილეობს საქართველოს VII სპარტაკიადაში. უკვე ჩატარდა შეჯიბრებები ცალკეულ სახეობებში, რომლებშიც ჩვენი ნაკრები გუნდები წარმატებით გამოდიან. მაგალითად, ფეხბურთში აჭარის ნაკრებმა სპარტაკიადის ყველა მონაწილე გუნდთა შორის საუკეთესო შედეგი მოიპოვა, იგივე ითქმის ხელბურთელ ვაჟებზეც. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ფრენბურთელი ვაჟები, ხოლო მოჭადრაკეები და ჩოგბურთელები — მესამეზე. კალათბურთელი ქალები მესამე ადგილზე არიან, აფროსნებმა მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა წარმატებით გამოვიდეთ სპარტაკიადის პროგრამის სხვა სახეობებშიც, რათა, რაც შეიძლება მეტი სპორტსმენი მოხვდეს აჭარიდან საქართველოს ნაკრებ გუნდებში.

საუბარი ჩაიწერა
თ. მორგოშიამ.

დევიზი — ვარჯიში, მზადება

აქ თითქმის ვერ ნახავთ წყლის მოსარკულ ზედაპირს. დილაადრიან იწყებენ და გვიან საღამოს ამთავრებენ წვრთნას მოცურავეები, წყალში მხტომელები, გამაჯანსაღებელი ჯგუფის წევრები...

ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლოსნო კომპლექსის მშენებლობის დამთავრებას დიდხანს ელოდნენ ჩვენი სპორტსმენები, მწვრთნელები, სპეციალისტები და არა მხოლოდ ელოდნენ — ხშირადაც მოდიოდნენ შაბათობაზე და მშენებლებს ხელს აშველებდნენ.

და აი, ცენტრალურმა საწყლოსნო კომპლექსმა პირველი სტუმრები მიიღო — სსრ კავშირის წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების წევრები, რომლებმაც აქ შეკრება გაიარეს. მერე საქართველოს წყალბურთელთა და მოცურავეთა ნაკრების წევრები გამოჩნდნენ — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის გააგრძელეს გულმოდგინე სამზადისი. აუზს ეწვივნენ სსრ კავშირის წყალში მხტომელთა ნაკრების წევრებიც.

— დიდებულია თქვენი კომპლექსი, — გვეუბნება ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მოსკოველი **ე. ვაიცეხოვსკაია**. — აქ ყოველგვარი პირობებია სრულფასოვანი წვრთნისთვის, დასვენებისთვის, ცხოვრებისთვის. არც სადილად გვჭირდება შორს წასვლა და არც კინოფილმის სანახავად. მეამაყება, რომ ამ კომპლექსის მშენებლობაში მე და ჩემმა თანაგუნდელებმაც შევიტანეთ წვლილი. მერე რა, რომ ჩვენი წვლილი „ზღვაში წვეთი“ იყო...

ვაიცეხოვსკაიას მხედველობაში ჰქონდა 1977 წელს თბილისში გამართულ წყალში მხტომელთა საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ აქ მოწყობილი შაბათობა, როცა სხვადასხვა რესპუბლიკის სპორტსმენები სამშენებლო მასალისაგან ტერიტორიას ასუფთავებდნენ.

ახლა კი, ფოტოობიექტივს დავუთმოთ სიტყვა:

— 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ვარჯიშობს სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი, ელექტროსტალელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **ე. მატიუშენკო.** როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ თბილისში გამართულ პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებების საკავშირო პირველობაში მან ყველას აჯობა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში.

მეორე სურათზე მწვრთნელი **ჯ. მაჭარაშვილი** და მისი აღსაზრდელი, საქართველოს ნაკრების წევრი, დინამოელი **ნ. ზალდასტანიშვილია** ალბეჭდილი ვარჯიშის დაწყებამდე.

რესპუბლიკის რეკორდსმენი, დინამოელი **ს. ტატუბალინი** და ბურევესტნიკელი **გ. კეკელია** მეტოქენი არიან, ოღონდაც ცისფერ ბილიკებზე — შეჯიბრებისას. ცხოვრებაში საუკეთესო მეგობრები ერთად დიდი ხალისით ვარჯიშობენ. ამაზე მეტყველებს მესამე სურათიც.

მეოთხე სურათზე **საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების ერთ ჯგუფს** და მის მწვრთნელ **ვ. სანაძეს** ხედავთ. წყალბურთელები ყურადღებით ისმენენ მწვრთნელის რჩევას.

და ბოლოს, აუზის ყველაზე ნორჩი სტუმრების ერთი ჯგუფი, რომელსაც **გ. ჩიქვანაია** ასწავლის ცურვის ანბანს. მათ ეს-ესაა საჯუმპალოში დაამთავრეს მეცადინეობა. გაივლის წლები და, ვინ იცის, იქნებ სწორედ მათ შორის გაიზარდოს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი...

დუღს და გადმოდუღს სპორტული ცხოვრება ახალ კომპლექსზე. ვარჯიში, ვარჯიში, ვარჯიში — ასეთია სპორტსმენთა დევიზი. საკავშირო სპარტაკიადამდე ხომ ერთი თვე დარჩა! ახალ კომპლექსს უკვე მოუხდა სამი საერთაშორისო შეხვედრის, მათ შორის წყალბურთელთა თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამართვა. კიდევ რა საინტერესო ღონისძიება ელით თბილისელებს?

— ამ ზაფხულს დაგეგმილი გვაქვს საბჭოთა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მოცურავეებსა და წყალში მხტომელებსაც ვუმასპინძლოთ, — გვეუბნება საწყლოსნო კომპლექსის დირექტორი, სპორტის ოსტატი **ვ. გოიაშვილი...**

ა. გურასაშვილის
ფოტორეპორტაჟი.





ეროვნული ბიბლიოთეკა



გუშინ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი ადგილობრივ „სპარტაკსა“ და როსტოვის არმიელთა გუნდს შორის.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 3 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შახტიორი“	11	8	3	0	20—3	19
„დინამო“ თბ.	11	8	3	0	18—3	19
„დინამო“ მ.	11	7	2	2	12—5	16
„დინამო“ კ.	11	6	3	2	13—7	15
„დინამო“ მნ.	11	5	3	3	14—9	13
„სპარტაკი“	11	4	5	2	10—9	13
„ზენიტი“	11	5	2	4	14—16	12
„ტორპედო“	11	4	3	4	11—10	11
„ჩერნომ.“	12	4	3	5	11—11	11
„არარატი“	12	2	7	3	10—11	11
ასკ როსტ.	11	1	8	2	9—13	10
ცსკა	11	4	1	6	15—14	9
„ფახთაქორი“	11	3	3	5	12—20	9
„ლოკომ.“	11	2	5	4	15—13	9
„ზარია“	12	2	5	5	13—16	9
„ნეფთჩი“	12	2	3	7	3—14	7
„კრ. სოვეტ.“	11	2	1	8	6—18	5
„ქაირათი“	11	1	2	8	7—21	4

„გუნდთან ერთად“

დონეცკის „შახტიორის“ კოლექტივი ლიდერობს საკავშირო პროფკავშირთა ფეხბურთის ფედერაციის პრიზისათვის ბრძოლაში

როგორც ვიუწყებოდით, გარდამავალი პრიზის „გუნდთან ერთად“ (რომლისთვისაც იბრძვიან მატჩის ყველა მონაწილენი — ფეხბურთელები, სტადიონების თანამშრომლები და მაყურებლები) გათამაშების დებულებაში შეტანილია ცვლილებები. ამჯერად პრიზისთვის ბრძოლაში შეუძლია ჩაებას ყველა კოლექტივს (ფეხბურთელები — სტადიონის თანამშრომლები — გულშემატკივრები) მატჩზე მოსულ მაყურებელთა რაოდენობის მიუხედავად, ვინაიდან მთავარია არა ის, თუ რამდენი გულშემატკივარი მოვიდა სტადიონზე, არამედ მათი მოქცევა.

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიან სპორტის დამსახურებული ოსტატები ლ. იაშინი, ნ. მოროზოვი, ძნ. სტაროსტინი, მ. იაკუშინი, საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. სოლოვიოვი და სხვ., შეაჯამა 10 ტურის შედეგები.

მატჩისთვის მინდვრის, გასახდელების, სამსაჯოს, პრესის ლოჟის კარგად მომზადებისთვის, მაყურებლებთან მრავალფეროვანი აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებისთვის, სტადიონზე საზეიმო სიტუაციის შექმნისთვის, მოთამაშეთა და მაყურებელთა თავდაჭერილი ქცევისათვის კოლექტივებს ყოველ ტურში ეწერებოდათ ჩასათვლელი ქულები. პირველ ტურში, როგორც ცნობილია, დაზარალდა „არარატი“, რომელმაც „0“ ქულა მიიღო მინასიანის მინდვრიდან გაძევების გამო. შემდგომში კოლექტივები ყველა ტურში ღებულობდნენ ჩასათვლელ ქულას. მაგრამ აი, მსაჯი-ინსპექტორების უბის წიგნაკში მოხვდნენ კუიბიშევის, ერევნისა და ლენინგრადის სტადიონების მუშაკები, რომლებმაც ცუდად მოამზადეს მინდორი საკავშირო ჩემპიონატის თამაშებისთვის. ქულები ვერ მიიღეს „კრილია სოვეტოვის“, „არარატისა“ (მეორედ) და „ზენიტის“ კოლექტივებმა. საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ მიიღო გადაწყვეტილება მსაჯთა დახმარებით ყოველ ტურში შეაფასოს მინდვრის მდგომარეობა.

თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ კოლექტივები დაისაჯნენ ზოგიერთი მაყურებლის უხეირო საქციელისთვის, რომლებიც ქაღალდებსა და სხვა საგნებს ისროდნენ მინდორზე თბილისის „დინამოს“ მატჩებზე „სპარტაკთან“ და „შახტიორთან“.

10 ტურის შედეგების მიხედვით საუკეთესო კოლექტივი 13 კოლექტივს შორის უნდა ამოერჩიათ, რომელთაც ყოველ ტურში ჰქონდათ მიღებული ჩასათვლელი ქულები. ამ შემთხვევაში საჭირო გახდა მიემართათ დისციპლინარული ცნობისთვის და გამოეკლოთ ის გუნდები, რომლებსაც გაფრთხილებული მოთამაშეები ჰყავდათ. მინსკის „დინამოში“ ასეთი 6 ფეხბურთელი აღმოჩნდა: 4-4 „ყვითელი ბარათი“ მიიღეს „ჩერნომორეცის“, კიევის „დინამოს“, ცსკა-ს მოთამაშეებმა, 3-3 „ქაირათის“, „ლოკომოტივისა“ და „ტორპედოს“, 2-2 — როსტოვის ასკ-ს, „ნეფთჩისა“ და „ფახთაქორის“ ფეხბურთელებმა, „შახტიორს“ მხოლოდ ერთი გაფრთხილება აქვს. „ზარიას“ ძირითად შემადგენლობას არც ერთი გაფრთხილება არ ჰქონია, მაგრამ სათადარიგოებმა სამი „ყვითელი ბარათი“ მიიღეს. ამასთან „ზარია“ უარეს ადგილზეა სატურნირო ცხრილში, ვიდრე „შახტიორი“. უნგრელებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ბუბნოვის გაძევება ჟიურიმ აღმაშფოთებელ ფაქტად მიიჩნია და მოსკოვის დინამოელები გარიცხა პრიზისთვის მებრძოლთა რიგებიდან ჩემპიონატის მე-10 ტურში.

ამრიგად, დონეცკის „შახტიორი“ პირველი ათი ტურის შედეგებით ერთპიროვნული ლიდერია. ვიმეორებთ, მას აქვს ერთი გაფრთხილება, ხოლო გუნდის სათადარიგო შემადგენლობას — არც ერთი.

აღინიშნა მაყურებლებთან ჩატარებული კარგი მუშაობა ოდესის „ჩერნომორეცის“, მინსკის „ტრაქტორის“, დონეცკის „ლოკომოტივის“, დონის როსტოვის ასკ-ს სტადიონებზე.

ამრიგად, 10 ტურში დისკვალიფიცირებული იყვნენ „არარატის“ (ორჯერ), „კრილია სოვეტოვის“, „ზენიტის“, მოსკოვის „სპარტაკისა“ და „დინამოს“, თბილისის „დინამოს“ კოლექტივები. შეგახსენებთ, რომ საკავშირო ჩემპიონატში სამი მსგავსი დისკვალიფიკაციის შემთხვევაში კოლექტივი გაირიცხება პრიზისთვის მებრძოლთა რიგებიდან.

(„სოვეტსკი სპორტი“, 2 ივნისი).

II ლიგა

IV ზონა

1 ივნისს გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის მატჩები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ ამ შეხვედრათა შესახებ:

„დინამო“ (ბათუმი) — „შირაკი“ (ლენინაკანი)

2:1

დინამოელების მეტოქე ამ მატჩში მათზე წინ იდგა გათამაშების ცხრილში, ამიტომ გუნდის ამოცანას წარმოადგენდა მხოლოდ შეტევითი ოპერაციები, რაც უზრუნველყოფდა გამარჯვებას.

მაგრამ დასაწყისში სწორედ სტუმრები უტევდნენ აქტიურად. მე-7 წუთზე მათ კარგად გაითამაშეს საჯარიმო, რომელიც ზუსტი დარტყმით დაამთავრა ნიკოღოსიანმა — 1:0. ამ წარმატების შემდეგ „შირაკის“ ფეხბურთელები ტაიმის ბოლომდე არ თმობდნენ სათამაშო ინიციატივას და იყო მომენტი, როცა სარქისიანს შეეძლო კიდეც ანგარიშის გაზრდა.

ბათუმელებმა მხოლოდ მეორე ტაიმში მოახერხეს მდგომარეობის გამოსწორება და საკუთარი გეგმის მიხედვით თამაში, რასაც მალე სასურველი შედეგიც მოჰყვა: 52-ე წუთზე ესებუამ საჯარიმო ჩააწოდა ფლანგიდან, ბურთს კარგად შეურჩია ადგილი ხახუბიამ და თავით გაგზავნა ბადეში — 1:1.

დინამოელები თითქმის განუწყვეტლივ უტევდნენ, „შირაკის“ კართან შექმნილი რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი არ იქნა გამოყენებული, მერე კი, მე-80 წუთზე, მასპინძლებმა მაინც მიაღწიეს საწადელს: კომბინაცია მენაბდე — გორგილაძე — ბეჟანიძე — ხახუბია დამთავრდა ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით — 2:1.

ო. მურვანიძე.

„დინამო“ (ზუგდიდი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი)

1:0

ზუგდიდის „დინამო“ ერთობ არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბოლო 3 მატჩში გუნდმა მხოლოდ 1 ქულა აიღო, საკითხი სრული კატეგორიულობით დგას — კოლექტივმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა არ აღმოჩნდეს ლიგის დატოვების საშიშროების წინაშე.

ამდენად, ამ მატჩში ზუგდიდელებს ჰაერივით ესაჭიროებოდათ 2 ქულა, მეტოქედ კი მათ ჰყავდათ ზონის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი — „კოტაიკი“.

მასპინძლებმა ყველაფერი გააკეთეს გამარჯვების მისაღწევად: უტევდნენ ფართო ფრონტით, ნახევარმცველთა აქტიური მონაწილეობით და ერთ-ერთი იერიშისას, მე-10 წუთზე, ანგარიშიც გაიხსნა. ბურთი „კოტაიკის“ კარში გაიტანა იბრაჰიმოვმა.

ცოტა ხნის შემდეგ ზუგდიდელებს შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ნაჭყებიამ კარგი პოზიციიდან ააცილა მიზანს ბურთი.

შესვენების მერე სტუმრებმა გააძლიერეს თამაში, თუმცა მათს კართან კვლავ იქმნებოდა სახიფათო მომენტები. შეუპოვარი ბრძოლა არ შეწყდარა მატჩის ბოლომდე, დინამოელებმა შეინარჩუნეს გამარჯვება.

ბ. ალშიბაია.

● ევროპული ჩემპიონატი

ახალი კანონი, ახალი პრობლემები

ფეხბურთი დასავლეთ ევროპის უმაღლესი პოლიტიკის სფეროშიც შეიჭრა — კაპიტალისტურმა ევროპამ თავის ინტერესებს დაუმორჩილა საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი, თითქოს ნეიტრალური უბანი, როგორც სპორტია, ამ შემთხვევაში — ფეხბურთი.

ამ ცოტა ხნის წინ „საერთო ბაზრის უმაღლესმა სასამართლომ“ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად აღნიშნულ გაერთიანებაში შემავალი სახელმწიფოების ფეხბურთელებს დამოუკიდებლად და, რაც მთავარია, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეუძლიათ გადასვლა ერთი ქვეყნიდან მეორეში. გაიხსნა „საზღვარი“ დასავლეთ ევროპის 9 სახელმწიფოს შორის, ხელოვნურად გაერთიანდა ჰოლანდიის, იტალიის, დიდი ბრიტანეთის, გფრ-ის, ბელგიის, საფრანგეთის, დანიის, ირლანდიისა და ლუქსემბურგის ფეხბურთის ფედერაციების ინტერესები.

ფეხბურთის სამყარო, არც თუ უსაფუძვლოდ, შეშფოთებულია შექმნილი სიტუაციით. ეროვნული ფედერაციები კი ცდილობენ რამდენადმე გონივრული ახსნა მოუნახონ ამ უპრეცენდენტო ჩარევას მათს შინაურ ცხოვრებაში, მაგრამ კონკრეტულ არგუმენტებს, ცხადია, ვერ პოულობენ.

მდგომარეობა მართლაც გართულდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ავტომატურად გაუქმდა ერთი კლუბიდან მეორეში გადასვლის არსებული კანონი, გაუქმდა შესაბამისი ლიმიტები იმპორტზე, შეზღუდვები, დაბრკოლებები, ანუ ის ღონისძიებები, რომლებიც ცხოვრების აუცილებლობით იყო ნაკარნახევი და მიზნად ისახავდა ადგილობრივი კადრების აღზრდის ხელშეწყობას, ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის პოპულარიზაციას, კლუბების შემოქმედებითს აქტიურობას.

„საერთო ბაზრის უმაღლესი სასამართლოს“ გადაწყვეტილებამ ეჭვის ქვეშ დააყენა ამ ღონისძიებათა პრაქტიკული ღირებულება. უფრო მეტიც — „საერთო ბაზრის“ მონაწილე ქვეყნების წინაშე ახალი, რთული პრობლემები დადგა.

ამას წინათ უეფა-ს გენერალურმა მდივანმა ჰ. ბანგერტერმა აღნიშნა, რომ ჯერჯერობით თვითონაც არ იცის რა შედეგს გამოიღებს ეს ახირებული გადაწყვეტილება. როგორ, რა გზით უნდა შეიცვალოს კონტრაქტების არსებული სისტემა, ურომლისოდაც პროფესიული ფეხბურთი წარმოუდგენელია. სამაგიეროდ, მდიდარი საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელები კმაყოფილებით იფშვნეტენ ხელებს და აღტაცებას ვერ ფარავენ იმის გამო, რომ ახალმა გადაწყვეტილებამ ახლებური სტიმული მისცა ფეხბურთში დაბანდებულ კაპიტალს.

და, როგორც იტყვიან, დაიწყო...

ყველაზე, ადრე, რა თქმა უნდა, იტალიის კლუბები ამოქმედდნენ. მილანის „ინტერნაციონალემ“ სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელს პლატინის, საიდუმლო აგენტები აფრინეს ევროპის ქვეყნებში სხვა მდიდარმა იტალიურმა კლუბებმაც — „იუვენტუსმა“ და „მილანმა“.

ამ პირველ გაბედულ ნაბიჯებს პირველი გაუბედავი პროტესტიც მოჰყვა. ინგლისის საფეხბურთო ლიგის მდივანმა ა. ჰარდეინერმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ბრიტანეთის საუკეთესო ფეხბურთელები ადრე თუ გვიან უსათუოდ ამოჰყოფენ თავს იტალიაში. მას არც ის მოსწონს, რომ ინგლისს ამის შედეგად მოაწყდება მეორეხარისხოვან ფეხბურთელთა დიდი ტალღა.

შიში, როგორც ჩანს, საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული. ყოველ შემთხვევაში, ჰარდეინერის წინასწარმეტყველება ნაწილობრივ უკვე გამართლდა. ამ ცოტა ხნის წინ შოტლანდიის „აბერდინმა“ დანიელი ე. კრისტიანსენი გადაიბირა. ბრიტანეთის ხელისუფლებამ არ დაამტკიცა კონტრაქტი და მიზეზად მოიყვანა პარლამენტის კანონი, რომლის თანახმადაც ამ ქვეყანაში მხოლოდ იმ უცხოელს შეუძლია თამაში, რომელსაც ავტორიტეტი აქვს ევროპულ ფეხბურთში. კრისტიანსენს კი ბრიტანეთში, ისევე როგორც კონტინენტურ ევროპაში, არავინ იცნობს.

მაგრამ საქმეში მოულოდნელად ჩაერია დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი. მან შეახსენა ინგლისელებს, რომ პარლამენტის აღნიშნული კანონი არ ვრცელდება „საერთო ბაზრის“ მონაწილე ქვეყნების ფეხბურთელებზე. მინისტრმა თავისი გაიტანა.

„საერთო ბაზრის უმაღლესი სასამართლოს“ გადაწყვეტილებას მტრულად შეხვდნენ ჰოლანდიაშიც. ფეხბურთის ფედერაციის მდივანმა ს. კორატმა პირდაპირ თქვა, რომ ეს დოკუმენტი დიდ სირთულეებს უქმნის ჰოლანდიურ კლუბებს, რომლებიც არასდროს გამოირჩეოდნენ სიმდიდრით. ამავე დროს ჰოლანდიელ ფეხბურთელებზე გულმოდგინედ ნადირობენ გფრ-ისა და იტალიის სუპერკლუბები. — რომელიმე ჰოლანდიელი ფეხუბრთელის გადაბირებამ ბრიტანეთში — ამბობს ს. კორატი, — მნიშვნელოვნად შეიძლება შეარყიოს ეროვნული ნაკრების პოზიციები ევროპული ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში.

და მართლაც, უკანასკნელ პერიოდში ბევრი არსებითი ცვლილება მოხდა IV შესარჩევ ჯგუფში, სადაც მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთან ერთად გამოდიან პოლონეთის, გდრ-ის, შვეიცარიისა და ისლანდიის გუნდები. სულ რაღაც ერთი თვის წინ ჰოლანდიელებს თითქოს თავი ქუდში ჰქონდათ, მაგრამ პოლონელებთან მარცხის შემდეგ მათ ერთბაშად ორი გუნდი წამოეწია — ერთი თვითონ პოლონეთი, მეორე კი გდრ-ის ნაკრები, რომელმაც 2 თამაში მოიგო ზედიზედ.

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ყველა შეხვედრა თითქმის ერთნაირი შემადგენლობით ჩაატარა. გუნდის ძირითად ბირთვს ატესტაცია არ სჭირდება. ესაა მსოფლიო ჩემპიონატებსა და ევროპულ ტურნირებში საკმაოდ გამობრძმედილ ფეხბურთელთაგან შემდგარი გუნდი, რომელიც ყოველ მატჩს მაღალ დონეზე ატარებს. და, მაინც, მწვრთნელი ი. შვარტკრუისი გამოჰყოფს რამდენიმე ლიდერს (კროლი, ბრანდტსი, ჰაანი, ნანინგა, რენსენბრინკი), რომლებიც, მისი აზრით, ნაკრების მთავარ ბირთვს ქმნიან. მაგრამ მწვრთნელს უფრო ახალგაზრდების ბედი აწუხებს. იგი შიშობს, რომ ახალბედები არ წამოეგონ უცხოელი აგენტების ანკესს.

ჯერჯერობით ახალგაზრდა ფეხბურთელები თამაშობენ მთავარ როლს პოლონეთის ნაკრებშიც. მათ შორის საუკეთესოა ბონეკი, IV შესარჩევი ჯგუფის ბომბარდირი.

უცხოელ სპეციალისტებს სავსებით კანონზომიერად მიაჩნიათ გდრ-ის გუნდის ბოლო წარმატებებიც. ეს ნაკრები, ისევე როგორც პოლონეთისა, IV შესარჩევი ჯგუფის პოტენციური ლიდერია, თუმც კი მიმომხილველებს მომავალ ფინალისტად ჰოლანდიის ან პოლონეთის ფეხბურთელები მიაჩნიათ.

როგორც უკვე ვთქვით, ამ ორი კოლექტივის დავაში ჯერჯერობით უპირატესობა პოლონელთა მხარესაა, რომლებმაც ხოჟუვში, 105 ათასი მაყურებლის თანდასწრებით დაამარცხეს ვიცე-ჩემპიონი. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეტოქეები კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად ამსტერდამში. ეს მატჩი 17 ოქტომბრისთვისაა დანიშნული.

მანამდე კი ცნობად მაინც მივიღოთ შვეიცარიის ნაკრების ახალი მწვრთნელის ლ. უოლკერის სიტყვები: „ვერაფრით ვერ გამიგია რატომ არ თვლიან გდრ-ის გუნდს ფავორიტად? მე თუ მკითხავთ, ამ გუნდს ყველაზე უფრო მეტად შესწევს უნარი წარმოადგინოს IV შესარჩევი ჯგუფი ევროპული ჩემპიონატის ფინალში“.

საინტერესოა ვინ იქნება მართალი?

ნ. გეგეშიძე.

მოკლედ

შვეციის ნაკრების მოთამაშე ბ. ოლსონი იყიდა ბუნდესლიგის (გფრ) კლუბმა ბილეფელდის „არმინიამ“.

1966 წლის მსოფლიო ჩემპიონის ინგლისის ნაკრებიდან, რომლებიც კვლავ თამაშობენ, დარჩნენ მხოლოდ ალან ბოლი (33 წლისა, 72 მატჩი ინგლისის ნაკრებში) და მარტინ პიტერსი (35 წლისა, 67 მატჩი ინგლისის ნაკრებში). კლუბი „საუთჰემპტონი“, სადაც ა. ბოლი კაპიტანია, ინგლისის თასის ნახევარფინალში გავიდა, ხოლო პიტერსი მეორე ახალგაზრდობას განიცდის კლუბ „ნორვიჩ სიტიში“.

ტრაგიკული ფინალი ჰქონდა ბრაზილიის ქალაქ ფიგუერაში გამართულ ამხანაგურ მატჩს, სადაც „მორო აგიეიდოს“ გუნდი ხვდებოდა „კრუზეიროს“. თამაშის 75-ე წუთზე, როცა სტუმრები იგებდნენ ანგარიშით 2:0, გაისმა სროლა, რამაც დიდი არეულობა გამოიწვია. ფინალი ასეთი იყო: 3 ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის „კრუზეიროს“ მეკარე. პოლიციამ დააპატიმრა 20 კაცი.

არნახული აჟიოტაჟი ტრიალებდა ბარსელონაში, როცა ამ ქალაქისა და ესპანეთის ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა „ბარსელონამ“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიგო. გამარჯვებულებს ფეიერვერკით შეხვდნენ, მთელი ღამის განმავლობაში დაახლოებით ერთი მილიონი გულშემატკივარი ზეიმობდა გამარჯვებას.

ამ დღეებში მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი კაპიტნის ბ. ფოგტსის გამოსათხოვარი მატჩი. ნაკრების მოწინააღმდეგე იყო ბორუსიის „მიონხენგლადბახი“, გაძლიერებული ინგლისელი კ. კიგანით.

ეს უკანასკნელი მატჩი ფოგტსისთვის ერთობ არასასიამოვნო, მოულოდნელი შედეგით დამთავრდა: ნაკრები დამარცხდა ანგარიშით 2:6. საინტერესო ფაქტია, რომ 2-2 ბურთი გაიტანეს „მიონხენგლადბახის“ უცხოელმა ფეხბურთელებმა კიგანმა და სიმონსენმა.

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. 3 ივნისი. ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებულ სპორტსკოლათა საკავშირო შეჯიბრება. „დინამო“ (თბილისი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი). 16. ს.

ახალი სახელი

ქართველ მოჭადრაკე ქალთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედს კიდევ ერთი სახელი შემატა — თამილა მესხის სახელი. საქართველოში ახალი, ნიჭიერი მოჭადრაკის გამოჩენა დღეს იმდენად ჩვეულებრივი ამბავია, რომ ბევრი ამ ფაქტს ჯეროვნად არც კი აფასებს ხოლმე. არადა, თამილა მესხის წარმატებები უკვე საკმაოდ თვალსაჩინოა და მეტად საპატიოც. ჯერ იყო და იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა გოგონათა შორის. სულ ახლახანს კი გაიმარჯვა აბაშაში გამართულ საქართველოს მოჭადრაკე ქალთა პირველობაში. ხოლო ჩემპიონობა იმ რესპუბლიკაში, საიდანაც დაიწყო ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის, ნანა ალექსანდრიასა და ნინო გურიელის, ნანა იოსელიანისა და სხვათა საჭადრაკო გზა, თავისთავად დიდი გამარჯვებაა.

ამ გამარჯვებას წლების მანძილზე სჭედდა თამილა თავის მწვრთნელ თენგიზ ხარლამიდთან ერთად: რვა წლისა იყო, ჭადრაკის სექციაში რომ მიიყვანეს და იმ დღიდან ჭადრაკი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

ალბათ ღირს აღნიშვნად ის ფაქტიც, რომ თამილა მესხი ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლაში სწავლობს; სწორედ იმ სკოლაში, რომელშიც მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე სწავლობდა!

— თამილას, ისევე, როგორც სხვა ქართველ მოჭადრაკე ქალებს, შემტევი სტილი აქვს, — ამბობს თენგიზ ხარლამიდი. — ამავე დროს, იგი მეტად ენერგიული და დაუღალავი გოგონაა და არც ოპტიმიზმი აკლია. მაგრამ აქვს ხარვეზიც: შედარებით ადვილად აღწევს უპირატესობას, შემდეგ კი მისი გამოყენება უჭირს. ჩვენი მუშაობა ამჟამად სწორედ ამ ნაკლის გამოსწორებისაკენაა მიმართული.

ეჭვი არ არის, თამილა მალე შეძლებს ამ ხარვეზის აღმოფხვრას. ეს ხომ გაცილებით ადვილია, ვიდრე უპირატესობის მოპოვება!

წინ კი ახალი, მეტად და მეტად საპასუხისმგებლო შეჯიბრებებია. თამილამ კარგად იცის, ვისი „გორისაა“. იცის, რომ მისგან, როგორც ქართველი მოჭადრაკე გოგონასაგან მხოლოდ წარმატებებს ელიან, და ისიც იცის, რომ უფლება არა აქვს ეს მოლოდინი არ გაამართლოს.

ა. ნაცვლიშვილი.

* * *

სურათებზე: თამილა მესხი მწვრთნელთან და თანაკლასელებთან (მეორე ფოტოს ცენტრში).

ჯ. კასრაძის ფოტო.

უცხო თუ თავისიანი?

მიუნხენის დიდ საჭადრაკო ტურნირში ახალგაზრდა ჰამბურგელი ოსტატი დანკერტი სუსტად გამოვიდა. ეს ამბავი მან იმით ახსნა, რომ მაყურებლები აშკარად ცუდად ექცეოდნენ, უფრო ცუდად, ვიდრე უცხოელებს. ეს კი, დანკერტის განცხადებით, იმიტომ მოხდა, რომ ბავარიელებს ტრადიციული შუღლი აქვთ გფრ-ს ჩრდილოეთ რაიონების მცხოვრებლებთან.

დანკერტმა გადაწყვიტა მიელო გამოწვევა და ერთ მშვენიერ დღეს თავის მაგიდასთან გფრ-ის დროშის ნაცვლად ქ. ჰამბურგის დროშა დადო. „რაშია საქმე — უთხრა ოსტატს ერთ-ერთმა ჟურნალისტმა — განა ჰამბურგი გფრ-ის შემადგენლობიდან გავიდა?“ „არც მიუნხენი გასულა გფრ-ის შემადგენლობიდან, მაგრამ ეს ხელს არ უშლის თქვენს თანაქალაქელებს მე ისე მომექცნენ, როგორც მტრული სახელმწიფოს წარმომადგენელს“ — უპასუხა ოსტატმა.

სახიფათო მეტოქე

რუმინელი ჩოგბურთელი ილიე ნასტასე ცნობილია არა მარტო წარმატებებით, არამედ უტაქტობითა და თავშეუკავებლობითაც. ვინ იცის, რამდენჯერ დაუჯარიმებიათ იგი გამომწვევი საქციელისთვის.

ამას წინათ მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მღელვარებით ადევნებს თვალს პროფესიული ჩოგბურთის ახალ ვარსკვლავს, 18 წლის ამერიკელ მაკენროეს.

— საქმე ის კი არ არის, რომ იგი ძალიან ძლიერად თამაშობს, ამაზე ბიორნ ბორგმა და ჯიმი კონორსმა იდარდონ. მაკენროე მათი მეტოქეა, ჩემი კარიერა კი დასასრულს უახლოვდება. მე უფრო მეტად ის მაღელვებს, რომ ეს ბიჭი, ეტყობა, გადამაჭარბებს ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე სკანდალური მოთამაშის რეპუტაციით.

მომავალი მეტოქენი ძალებს ამოწმებენ

ახლოვდება სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალური სტარტები. მოკავშირე რესპუბლიკების სპარტაკიადაზე, სხვა რანგის შეჯიბრებებზე, მომავალი მეტოქენი უკანასკნელად ამოწმებენ ძალებს.

დონეცკში ჩატარდა უკრაინის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირველობა ტანვარჯიშში. აქ ვაჟთა შორის ყველას კიევის პირველმა ნაკრებმა აჯობა, რომელმაც 333,25 ქულა მოაგროვა. დნეპროპეტროვსკის ოლქის წარმომადგენლები მათ 2,2 ქულით ჩამორჩნენ, III ადგილზე დონეცკის ოლქის ნაკრები გავიდა. ასევე დაძაბული გამოდგა ქალთა შეჯიბრება, თუმცა აქაც ყველას კიეველებმა აჯობეს — 234,09. II და III ადგილები ერგოთ ოდესის ოლქისა და ხარკოვის ოლქის გუნდებს. პირად პირველობაში უძლიერესები იყვნენ ნ. კარამუშკა — 77,4 და ფ. კულაკსიზოვი — 113,4.

რსფსრ-ს ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებას **კუიბიშევი** მასპინძლობდა. ამ რესპუბლიკის სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ როსტოვის ოლქის (273 ქულა) ქალთა და ვლადიმირის ოლქის (414) ვაჟთა გუნდები. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას როსტოველებმა აჯობეს.

რსფსრ-ს სპარტაკიადის პროგრამით მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება დასრულდა **ჩელიაბინსკში**. აქ უძლიერესი იყო ვოლგოგრადის ოლქის გუნდი — 294 ქულა, ვოლგოგრადელმა საკავშირო ნაკრების წევრმა ე. ტომასმა იმარჯვა უსაგნოდ (18,75), ბურთით (19,35) და ბაფთით (19,6) ვარჯიშში, აგრეთვე, მრავალჭიდში — 47,75 ქულა.

გამოჩენილი რუსი მწერალი ლეონიდ ლეონოვი, რომლის დაბადებიდან 80 წლისთავი ახლახან აღნიშნა ჩვენმა საზოგადოებრიობამ, სპორტის მოყვარული ადამიანი გახლდათ. მას განსაკუთრებით იტაცებდა მოკრივეთა ასპარეზობა. მეგობრობდა ცნობილ მოკრივეებთან. ასე, მაგალითად, ლეონოვი ძალზე ახლო იყო ნ. კოროლიოვთან. კრივის ერთ-ერთი მეურვე, ცნობილი მწვრთნელი ალექსანდრე გოლდშტეინი იგონებს: „ლეონოვი ყოველი სერიოზული ასპარეზობის შემდგომ გამოჩნდებოდა კრივის დარბაზის კულისებში და იწყებდა მატჩების გარჩევას. ძალზე გონივრულად მსჯელობდა შეხვედრის ავ-კარგზე“. მწერალი

ლეონიდ ლეონოვი — კრივის მოყვარული

გატაცებული ყოფილა სათხილამურო სპორტით. მაგრამ კრივს ძალზე დიდ შეფასებას აძლევდა. ა. გოლდშტეინისათვის ერთხელ უთქვამს: სხეულის გაკაჟებას ყველაზე მეტად სათხილამურო სპორტი უწყობს ხელს, მაგრამ სანახაობითი თვალსაზრისით კრივს, ჩემის აზრით, სპორტის ვერც ერთი სახეობა ვერ შეედრებაო.

ეს ფოტოსურათი, რომელიც მოწმობს მწერლის მეგობრობაზე მოკრივეებთან, სწორედ ა. გოლდშტეინმა გადმოგვცა. მასზე გამოსახულნი არიან ლეონიდ ლეონოვი (შუაში), ა. გოლდშტეინი (მარცხნივ) და კ. გრადოპოლოვი.

ე. გიორგაძე.

რედაქტორი ა. ბასილაია.

● მშვილდოსნობა

საქართველოს რეკორდები

მდგომარეობა 1979 წლის 2 ივნისისთვის

ვარჯიში	შედეგი	რეკორდსმენი	დამყ. წელი
		ქალები	
მ-1			
30 მ.	347	ქ. ლოსაბერიძე („ბურევ.“ თბ.)	1979
50 მ	329	ქ. ლოსაბერიძე („ბურევ.“ თბ.)	1978
60 მ	331	ქ. ლოსაბერიძე („ბურევ.“ თბ.)	1978
70 მ	318	ქ. ლოსაბერიძე („ბურევ.“ თბ.)	1978
ჯამი	1287	ქ. ლოსაბერიძე („ბურევ.“ თბ.)	1978
გუნდური	3479	საქართველოს ნაკრები (ქ. ლოსაბერიძე, ა. ხორდია, გ. რიჟამაძე)	1972
მ-2			
30+30	686	ქ. ლოსაბერიძე („ბურევ.“ თბ.)	1978
50+50	642	ქ. ლოსაბერიძე („ბურევ.“ თბ.)	1978
60+60	627	ქ. ლოსაბერიძე („ბურევ.“ თბ.)	1978
70+70	621	ქ. ლოსაბერიძე („ბურევ.“ თბ.)	1978
ჯამი	2571	ქ. ლოსაბერიძე („ბურევ.“ თბ.)	1978
გუნდური	6832	თბილისის ნაკრები	1976
		ვაჟები	
მ-1			
30 მ	346	ვ. ტროპინი („სპარტაკი“, თბ.)	1977
50 მ	327	ნ. ნოვოსელცევი („ბურევ.“, თბ.)	1977
70 მ	321	ვ. ტროპინი („სპარტაკი“, თბ.)	1976
90 მ	285	ო. ავდენტოვი („კოლმეურ.“ ბათ.)	1978
ჯამი	1238	ნ. ნოვოსელცევი („ბურევ.“ თბ.)	1977
გუნდური	3580	თბილისის ნაკრები (გ. გორდეზიანი, ვ. ტროპინი, ნ. ნოვოსელცევი)	1975
მ-2			
30+30	683	ვ. ტროპინი („სპარტაკი“, თბ.)	1976
50+50	627	ვ. ტროპინი („სპარტაკი“, თბ.)	1976
70+70	618	ნ. ნოვოსელცევი („ბურევ.“, თბ.)	1977
90+90	554	ვ. ტროპინი („სპარტაკი“, თბ.)	1977
ჯამი	2455	ნ. ნოვოსელცევი („ბურევ.“, თბ.)	1977
გუნდური	7028	საქართველოს ნაკრები (ვ. ტროპინი, გ. არჩვაძე, ი. ლოგინოვი)	1976

გაზეთ „კომუნისტის“ პირველი ნომრის გამოსვლის აღსანიშნავად აგერ უკვე მეშვიდე წელია ივნისის პირველ კვირა დღეს ეწყობა დედაქალაქის სპორტსმენთა შეჯიბრება კომბინირებულ ამანათრბენში „კომუნისტის“ პრიზზე.

დღეს, 3 ივნისს, 11 საათზე 21-ეტაპიანი ასპარეზობა სტარტს აიღებს „კომუნისტის“ რედაქციასთან.

15300-მეტრიან დისტანციაზე ესტაფეტა ძირითადად მძლეოსნებს მიაქვთ — მათთვის 18 ეტაპია გამოყოფილი. აქედან ექვს ეტაპზე ქალები ირბენენ, სამ ეტაპზე მძლეოსნებს ველოსიპედისტები დაეხმარებიან.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 2 ივლისიდან დაიწყება მეცადინეობა ერთთვიან მოსამზადებელ კურსებზე იმ პირთათვის, რომელთაც სურთ ინსტიტუტის დღის ან დაუსწრებელ განყოფილებებზე შესვლა.

მსურველებმა 20-დან 30 ივნისამდე უნდა წარმოადგინონ: განცხადება, ატესტატის ასლი (ვინც წლეულს ამთავრებს საშუალო სკოლას, ცნობა სკოლის დამთავრების შესახებ) და საკლასიფიკაციო ბილეთი (არანაკლებ მეორე თანრიგისა), რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ სახეობებიდან: მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, ცურვა, წყალბურთი, აკადემიური ნიჩბოსნობა, კანოე და ბაიდარი, ჭიდაობის ყველა სახეობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, რაგბი, ხელბურთი, ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, მშვილდოსნობა, თანამედროვე ხუთჭიდი, ფარიკაობა, მძიმე მრავალჭიდი, ძალოსნობა, კრივი, სათხილამურო სპორტი, ფიგურული სრიალი, ველოსპორტი და ჭადრაკი.

სწავლება — ქართულ და რუსულ ენებზე შემდეგ საგნებში: ბიოლოგია, ქიმია. ჩატარდება, აგრეთვე, მეცადინეობები ქართულ და რუსულ წერაში, კონსულტაციები საერთო ფიზიკურ მომზადებაში.

კურსებზე სწავლების მსურველებმა უნდა გადაიხადონ დაწესებული საფასური. რაიონებში მცხოვრებნი უზრუნველყოფილი იქნებიან ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე, 10 საათიდან. **მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 49-ა. ტელეფონი 22-25-57

ინსტიტუტის რექტორატი.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 93-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-20; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 02203